ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2371251

ნომერი: AR1365566

თარიღი : 21.12.2015

გაცემის თარიღი : 05.01.2016

გაცნობის თარიღი : 08.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კ. ჩაჩავა , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მახარობლიშვილი პ/ნ 01008005148
- თბილისი ვ.ბარნოვის ქ. N 184 ბ. 8

ორგანიზაცია:

- შპს"დმ სტუდია" კოდი: 404862038

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 12.02.2015 წ. #1711058 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქ. დავით მახარობლიშვილმა 21.12.2015 წ. #AR1365566 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 12.02.2015 წ. #1711058 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 12.02.2015 წ. #1711058 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ფონიჭალის თემის საკრებულო, სოფ. ფონიჭალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.13.02.007.022, ფართობი 4534 კვ.მ.) არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის და ორი ახალი შენობა-ნაგებობის (საავადმყოფო) აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 12.02.2015 წ. #1711058 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას ახალი საპროექტო ობიექტის ფუნქციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის და ერთი ახალი შენობა–ნაგებობის (საავადმყოფო) დაფიქსირება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.02.2015 წ. #1711058 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია და ერთი ახალი შენობა–ნაგებობა (საავადმყოფო);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.02.2015 წ. #1711058 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.